ხელშეკრულება № 31

ერთის მხრივ სსიპ – გია გოგუაძის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოხვაურის საჯარო სკოლა, წარმოდგენილი დირექტორის თამარ ყურაშვილის სახით,

მეორეს მხრივ: ი/მ ბიძინა მჟავანაძე (შემდგომში „მომწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „დამკვეთი" სსიპ – გია გოგუაძის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოხვაურის საჯარო სკოლა დაუკვეთავს, ხოლო მომწოდებელი, ი/მ ბიძინა მჟავანაძე კისრულობს ვალდებულებას სკოლას მიაწოდოს კარტრიჯი და გაუწიოს მასთან დაკავშირებული მომსახურეობა, მეორადი კარტრიჯის 435/436/278/285 შეძენა- შევსების სახით. (CPV 30200000,30237310,98300000)

2. ანგარიშსწორება

2.1. დამკვეთი ვალდებულია სკოლის ბიუჯეტის თანხიდან ზემოაღნიშნული მომსახურეობაზე მომწოდებელს გადაუხადოს 108 (ასრვა) ლარი.
2.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
2.3. ანგარიშსწორება წარმოებს ლარებში.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას:
3.2. გადაუხადოს მომწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის შესაბამისად.
3.3. მომწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში დააყენოს საკითხი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4. სამუშაოს შესრულების ვადები.

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების ვადა განისაზღვრება 20.10.2017 - დან 31.10.2017 – მდე.

5.საჯარიმო სანქციები

5.1 საქონლის მოწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაუხდის შემსყიდველს სახელშეკრულებო თანხის 0.1 % ყოველ ვადაგადავილებულ დღეზე.
5.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული გადახდის ვადების დარღვევისათვის შემსყიდველი უხდის მიმწოდებელს 0.1 % ხელშეკრულების საერთო თანხიდან, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ზოგადი დებულებები.

6.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
6.2 ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.
6.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
6.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნება რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.5. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ეგზემპლიარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

7. დავათა განხილვის წესები.

7.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავა, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოს მიერ.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი	მომწოდებელი
სსიპ-გია გოგუაძის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბოხვაურის საჯარო სკოლა	ი/მ ბიძინა მჟავანაძე
ანგ.N GE41LB0121128646400000	ა.№ GE98BG0000000279328200
ბ/კ LBRTGE22 ,,ლიბერთი ბანკი" ს/კ 237102130	ბ/კ BAGAGE22 ,,საქართველოს ბანკი " ს/კ 33001006666
მის:ოზურგეთი,სოფელი ბოხვაური	მის: ოზურგეთი,სოფელი ჭანიეთი
დირექტორი /თამარ ყურაშვილი/	ი/მ /ბიძინა მჟავანაძე /